გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | [illegible] | 6 | 6 — |
| 11 | [illegible]0 — | 5 | 5 50 |
| 10 | 8 50 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — [illegible] შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ახ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцiю грузинской газеты „ИВЕРIА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს,

ქ. ქ. საფაროვი აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ალ.-მესხიევის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

**ორი ობოლი**

დრ. 5 მოქ. და 7 სურ. თარ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

Энциклопедическiй Словарь

*См. 4-ую стр.*

ვეკილობ

ყოველ გვარ **სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს** სახელმწიფო დაწესებულებაში საწარმოებლად, ვწერ ყოველგვარ **არზებს**, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების** ბანკებში **დაგირავებას** და სხ.

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—1)


## ტფილისი, 21 ნოემბერს

—

ბ-ნი იზმაილოვი უკვე ამორჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად. ამით გათავდა ყოველივე ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იმაზე თუ,—ვინ დავსვათ მოურავად და ვინ არა. და წყნარდა ამ საგანზედ მომხდარი განხეთქილება და ბ-ნ იზმაილოვის ქალაქის მოურავად გახდომა ყველამ უნდა იცისროს, ვითარცა დასრულებული საქმე.

აწ მარტო ის-ღა დარჩენია ქალაქის საზოგადოებას, გამოარკვიოს—რის იმედი უნდა ჰქონებოდათ ბ-ნ იზმაილოვის ამომრჩეველთ, როცა იგინი ირჩევდნენ. სადაც-კი დღეს ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევაზე სადმე ლაპარაკია, სწორედ ეს საგანია მიზეზი.

რაკი ვიცით დღევანდელი ხმოსანთა კრებული საიდამ და როგორ არის შემდგარი, რაკი ზოგიერთი პატივ-სადები საბუთია სთქვას კაცმა, რომ იგი უფროსერთში ნაყოფია ერთ ცალკერძოდ მიხრილის დასისა და რაკი ესეც ვიცით, რომ უფროს-ერთობა საბჭოში, ვითარცა ხმოსანთა კრებულისა, უნდა იყოს გამომეტყველი თავის მომავლინებელთა ნება-სურვილისა, მაშ სათანადოა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი იზმაილოვი ამორჩეულია იმ იმედით, რომ იგი ამ ცალკერძოდ მიხრილს დასს ციხესიმაგრედ გაუხდება.

ამ იმედს საფუძვლად უნდა ედვას იგი ერთი არა მცირე ნაკლულოვანება ხასიათისა, რომელსაც ვითომ ამჩნევენ ბ-ნ იზმაილოვს. იგი ამყოლი კაციაო, ამბობენ: და, რა თქმა უნდა, რასაც ჩვენ ვეტყვით, იმას დაემორჩილება ყოველის უარის უთქმელადაო. არა ერთი და ორი ამაში ჰპოულობენ მიზეზს ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევისას.

თუ ესეა, ეს ჩვენ მოგვაგონებს ერთს დიდის ხნის ამბავს. როდესაც რომის პაპი გრიგოლ XIII გარდაიცვალა, შეიყარნენ კარდინალები ახალის პაპის ამოსარჩევად. კარდინალთა კრებულში იყო ერთი ბერი, სახელად სიქსტი, კაცი სუსტი, წელში უღონობით მოხრილი, უღონობითვე ყავარჯენზე დაყრდნობილი, ფერ-მიხდილი და მიმკვდარი. ღირსთა მამათა იფიქრეს, თუ ამ სუსტს და დავრდომილ კაცს ავირჩევთ პაპად, ეს, რასაკვირველია, ჩვენი ყურ-მოჭრილი ყმა იქნება და როგორც გვინდა, ხელში ისე ვატრიალებთ და რასაც გვინდა, იმას ჩავადენინებთო. ამ იმედით აირჩიეს ეს საბრალო ბერი იმ უწარჩინებულესს თანამდებობისათვის, ჩააბარეს პეტრე მოციქულის გასაღებები და უწოდეს სახელად პაპი სიქსტი მეხუთე.

გამოცხადდა თუ არა, რომ სიქსტი არჩეულ იქმნაო, ეს მიმკვდარი, ძლივ-ცოცხალი, ტანში უღონობით მოხრილი ბერი გაიმართა წელში, ყავარჯენი იქით მიაგდო და Te Deum-ი ისეთის გრგვინვითა და ჭექითა სთქვა, რომ დარბაზის სარკმლის მინებმა ზრიალი დაიწყო. განცვიფრებული კარდინალები მიხვდნენ მაშინვე, რომ ამ კაცს ისინი თავის სურვილისამებრ ვერ ათამაშებენ და დარწმუნდნენ, რომ ანგარიშში შესცდნენ. ისტორიამ გაამართლა წინაგრძნობა ღირსთა მამათა და პაპი სიქსტი V მართლა რომ შესანიშნავი და დამოუკიდებელი კაცი შეიქნა.

განა შესაძლებელი არ არის, რომ აქაც იგივე მოხდეს.

ჩვენ დღეს მარტო ის-ღა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ ბ-ნმა იზმაილოვმაც იგი რიხი, მხნეობა, დამოუკიდებლობა და სიმაგრე ხასიათისა გამოიჩინოს, რაც საჭიროა მაგისთანა თანამდებობის კაცისათვის და დაგვიმტკიცოს, რომ თუმცა აბჯარი ხისა აქვს, გულიკი რკინისა ჰქონია.

მისი მშვენიერი სიტყვა აზრით, თუ მოკმაზულობით, წარმოთქმული არჩევანის შემდეგ, ცოტა არ იყოს, სიქსტის V Te Deum-სა ჰგავს. ჩაუკვირდით იმ მოკლე, მაგრამ ფართო აზრიანს სიტყვას და დაინახავთ, რომ იგი ერთის ცალკერძ დასის აყოლას თავის პროგრამაში არაკითარს წილს არ უდებს და ამბობს, იმათაც, ვისაც ჩემი ქალაქის მოურავობა არა ჰსურთ, ვეცდები ჩემის მოქმედებით ჩემზე აზრი შევუცვალოვო. აღთქმა ჩინებულია და ჩვენც ვისურვებთ, რომ მართლა და გულწრფელად ამ სასურველს გზას დასდგომოდეს და ჩვენ კიდევ ეს გზა დაგველოცნოს.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოში დანიშნულია არჩევანები ქალაქის გამგეობის სამის წევრისა, ხოლო ხვალ, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება ხმოსანთა სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად.

*** სამშაბათს, 23 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. კრება მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ მოისმენს ბ-ნ ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენებას: „ხილისა და ჭაჭის არაყის ხდა ამიერ-კავკასიაში“. კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** სოფ. პატარძეული (ტფილისის მაზრა): პურის მოსავალი კარგი გვქონდა. სასოფლო პურის მაღაზიაში შევიტანეთ წელს 1386 ფუთი. პური აქ ფასობს ეხლა კოდი 2 მან. 60 კაპ. (სამი ფუთია), ქერი—2 მან. (ორ ფუთ-ნახევარია). მოვაჭრე-მოვახშეებმა ბევრი ვერა დაგვაკლეს. ყველას აეკრძალა პურისა და ქერის აღება ნისიებში. უნდა ფული წაიღონ. ასე გასინჯეთ, თათრებსა და გერმანელებსაც-კი, რომელთაც მოიტანეს ფურგუნებით კომბოსტო, ხახვი და კარტოფილი პურსა და ქერზედ გასაცვლელად, ნება არ მიეცათ სოფელში დამდგარიყვნენ და ეცვალნათ თავიანთი საქონელი პურსა და ქერზედ. ჩვენი დაუდევრობა, თორემ სოფელს როგორ არ უნდა მოჰყავდეს თავისთვის საკმაოდ ხახვი, კომბოსტო და კარტოფილი. ვენახებმაც არ გვიმტყუნა და ღვინოც გვარიანი მოგვივიდა, მაგრამ ფასი-კი მცირე აქვს. საპალნე ღვინო, რომელიც წინად რვა თუმნად იყიდებოდა, წელს ოთხ თუმნად იყიდება.

*** ფოთი: ფოთსა და ქალადიდს შორის რიონის ადიდების გამო გაფუჭდა რკინის გზის ლიანდაგი და მატარებლების სიარული შესწყდა.

*** სამტრედია: 19 ნოემბერს სამტრედიასა და კოპიტნარს შორის დიდის წვიმების გამო გაფუჭდა ხიდი და დაბრკოლდა მატარებლების სიარული. იმ ღამესვე გზა გააკეთეს.

აბაშაში 18 ნოემბერს ორი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა.

*** ბათუმი: 25 ნოემბერს მოვა აქ რუსეთიდამ მთელი გემი, დატვირ-

---

## ფელეტონი

—

### მნათობი აზიისა

(ერთი ხანა ედვინ არნოლდის პოემისა)

გაზაფხულის ერთს მშვენიერს დღეს თეთრის გედის გუნდი მიფრინავდა ჩრდილოდ, სადაც ჰიმალაის მთა თავმომწონედ ამართულა ცამდე. სიყვარული იწვევდა იქ ამ მშვენიერ ფრინველთ. იქ იკეთებენ ბუდეს და იქა ზრდიან ბარტყებს. ჰაერში ტკბილი გალობა ისმოდა: გედნი ერთმანერთს ეალერსებდნენ, უგალობებდნენ, შესტრფოდნენ.

მეფის ძმისწულმა ჭაბუკმა დევადატამ შვილდ-ისარი მოიმარჯვა. სტყორცნა ისარი თეთრს კულაოზს, რომელიც გუნდს წინამძღვრობდა და ლაჟვარდ სივრცეში მძლავრის ფრთებით ჰაერს აპობდა. მოხვდა ისარი და გედი ძირს ჩამოვარდა. უკეთურმა ისარმა წამსვე შეღება თოვლსავით თეთრი ფრთა გედისა ალისფერ სისხლით.

მეფის ძემ სიდართხამ შეასწრო თვალი დაკოდილს ფრინველს. ფრთხილად მოჰკიდა ხელი გედს და კალთაში ჩაისვა. დაუწყო ალერსი, დაუმშვიდა შეშინებული გული, გაუსწორა ფრთები და ნაზად უსვამდა ვარდის ფურცელივით ნარნარს ხელს. მარცხენა ხელში გედი ეჭირა. მარჯვენათი ამოაცალა ავი ისარი და წყლულზედ დაადო მარგებელი მალამო.

ჯერ ისევ ნორჩმა ბატონიშვილმა არც-კი იცოდა, რა არის ტკივილი და მწუხარება. აილო წვერ-მახვი ისარი და საცდელად ხელში იჩხვლიტა. ჩხვლეტა ემწვავა და ცრემლ-მორეულმა უფრო მეტის გულ-მტკივნეულობით დაუწყო გედს ალერსი.

გაჩნდა მსახური დევადატასი.

— ჩემმა ბატონმა გედი მოჰკლა. აქ ჩამოვარდა, ვარდის ბუჩქებში. ბატონი გთხოვს, გედი გამომიგზავნეო. გამატან თუ არა?

— არა,—უპასუხა სიდართხამ,—შენს ბატონს რომ მოეკლა, რაღა თქმა უნდა, გედი იმისი იქმნებოდა. მაგრამ გედი, ხომ ხედავ, ცოცხალია. შენმა ბატონმა მოუსპო მხოლოდ ღვთიური ძალა ფრთისა.

მაშინ თვით დევადატა მოვიდა და უთხრა:

— ნანადირევი მონადირეს ეკუთვნის. ვიდრე ეგ გედი თავისუფლად დაჰფრინავდა, არავისი იყო. რაკი ძირს ჩამოვაგდე,—ჩემია. არა, ძმაო, მომეცი ჩემი ნანადირევი.

სიდართხამ გედი გულში ჩაიკრა და სახე გაბრწყინვებულმა უთხრა დევადატას:

— არა, არ მოგცემ, არა! გედი ჩემია! ეგ პირველია იმ ათასთა შორის, რომელთაც მე მაკუთვნებს მადლი სიბრალულისა და სიყვარულისა. ვხედავ, რა გრძნობაც აღელვებს ჩემს გულს; ვხედავ, რომ მე უნდა ვიყო მფარველი და მეოხი ტანჯულთა და ჩაგრულთა. მე უნდა ვასწავლო კაცთანათესავს სიბრალული, მე უნდა დავაშრო ზღვა ტანჯვისა არა მარტო კაცთათვის.

თუ ჩემი სიტყვა არ მოგწონს, ძმაო, ჩვენი დავა მივანდოთ ბრძენთა: იმათ გადასწყვიტონ და გაგვასამართლონ.

ბრძენთა საბჭო დიდხანს კამათობდა. ზოგმა ერთი სთქვა, ზოგმა—მეორე. ბოლოს წამოდგა უცნობი ვინმე მსახური ღვთისა და სთქვა:

— თუ სიცოცხლეს რამ ფასი სდევს, ცოცხალი არსება იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც იგი სიკვდილს გადაარჩინა. მკვლელი აბნელებს, აქრობს სიცოცხლეს, ხოლო მოწყალე იფარავს, სულს უდგამს. ფრინველი ბატონიშვილისაა და იმას უნდა მისცეთ.

კრებულმა დიდად მოიწონა ეს სამართლიანი განაჩენი.

მეფეს უნდოდა თაყვანი ეცა ბრძენისათვის, მაგრამ იგი განქრა. მხოლოდ ვიღაცამ მოჰკრა თვალი, რომ ოთახიდგან გველი გასრიალდა.

ამ სახით მოევლინებიან ხოლმე ხშირად ღმერთნი კაცთა-ნათესავს.

ასე დაიწყო ბუდდა-ღმერთმა საქმენი თვისნი სამოწყალონი.

თული უკვამლო თოფის წამლით. ეს წამალი 80 ვაგონში უნდა იქმნას გადაცლილი სულ ორის დღის განმავლობაში. საზოგადოდ რუსეთიდამ დიდძალი სხვა-და-სხვა საქონელი მოდის გემებით. ძლივს ასწრობენ მათს დაცლასა და გზავნას.

*** სამეგრელო: ზაფხულში გვალვებმა ძლიერ შეგვაშინა, გვეგონა, ეს არის დავილუპებით, სიმინდი აღარ მოგვივა და შიმშილი ჩამოვარდებაო. მაგრამ აგვისტოში წვიმებმა გააცოცხლა სიმინდები, რომელიც იმდენი მოგვივიდა, მეტადრე დაბლობ და ჭაობიან ადგილებში, რომ ძლივს მოვუარეთ. სამწუხაროდ ისა გვაქვს მხოლოდ, რომ ძლიერ მცირე ფასად იყიდება, 30—35 კაპ. ჩვენში არც მევენახობას მისდევენ, არც პურის თესვას და არც საქონლის მოშენებას. ჩვენი ცხოვრება სიმინდია მხოლოდ. წინად ვენახებიც ბლომად იყო და ღვინოც კარგი მოდიოდა, „სვანური“ ისეთი ყურძენი იყო, რომ მისი ღვინო იმერულს არ ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს ყურძენი გაჰქრა, სენმა მოსპო. მისი ადგილი დაიჭირა ახლა „იზაბელამ“, რომლის ღვინო ძალიან დაბალის ღირსებისაა და რომელიც წელს ძალიან ნაკლებად მოგვივიდა. შემოდგომის დამდეგმა ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა, რის გამოც მეტად გაგვიჭირდა მოვლა და დამონავება მოსავლისა. ადგილ-ადგილ სეტყვაც მოვიდა. ნოემბრის დამდეგს ძლიერი ქარი ჰქროდა და ბევრგან დააზარალა ხალხი.

## დამაკვირდი

სადაც ჯამუშებს ჯილდო ეძლევათ, იქ ბრალიანნი ყოველთვის მრავლად იქმნებიან.

მოლიერი.

**

სისხლი სისხლით აღარ იბანება, არამედ წყალით.

ოსმალური ანდაზა.

**

ცთომილებას ათასი გზა აქვს, ჭეშმარიტებას-კი—ერთი.

ჟ. ჟ. რუსსო.

## კორესპონდენცია

**სოფ. საჯავახო** (ოზურგეთის მაზრა). ამას წინად ჩვენს სოფელში დიდი უბედურება მოხდა. სწორედ ნაშუაღამის 2 საათი იყო და მთელს სოფელს ეძინა, როდესაც ცეცხლი წაუკიდეს აზნაურ კ. ხუნდაძეს სახლს და სულ მთლად გადაწვეს. თვით პატრონი ზემო სახლში იყო, მაგრამ მთელი თავისი სარჩო-საბადებელი, ჭირნახული და საქონელი ქვემო სახლში ჰქონდა. გულ-გახეთქილი მივარდა საცოდავი მოხუცი, მაგრამ გვიან-ღა იყო: მთელი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული და იმის გადარჩენას ვეღარავინ შესძლებდა. შევარდა მაშინვე ბოსელში, სადაც კარ-გამოკეტილში ცეცხლში გახვეულნი საცოდავად ტრიალებდნენ და ჰბღაოდნენ ხარ-კამბეჩი, ღორები და სხვა, მაგრამ გადარჩენის მაგიერ თითონაც დაზარალდა, ალაგ-ალაგ ცეცხლში ამოიტრუსა და ეხლა ლოგინად არის ჩავარდნილი. დიდძალი ჭირნახული და სიმინდი დაეწვა უბედურს. ზარალი, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ხუთას თუმნამდე იქმნება *).

ეს მოულოდნელი უბედურება, ეჭვი არ არის, მტრის ხელის ნამოქმედარია, ეტყობა სახლს უკანიდგან მიჰპარვია და ისე წაუკიდებია ცეცხლი. მოგახსენებენ, რომ იმ ღამეს ძაღლები ძალიან გაკაპასებით იყეფებოდნენ და დიდს მოუსვენრობაში იყვნენო. ხალხის ხმა ასახელებს კიდეც ცეცხლის წამკიდებელს და ამიტომ სასურველია სამართლის წარმომადგენელი მხნედ მოეკიდოს ამ საქმეს და ერთ-ერთი ბოლო მოუღოს ამ საზიზღარს მტრობას. ჩვენსკენ მტრობით ცეცხლის წაკიდება პირველი და ახალი ამბავი არ არის. მცირე ხანი არ გაივლის, რომ ხმა არ გავარდეს, ამა და ამ კაცის ქონებას ცეცხლი მისცეს მტრობით და სულ ერთიანად გადაჰბუგესო. ვისაც სხვა ღონე არა აქვს-რა მაგიერის გადახდისა და მტრობით აძგერებულის გულის დამშვიდებისა, მაშინვე ამ სამარცხვინო იარაღს, ცეცხლსა და ნავთს მიჰმართავს ხოლმე და სულ ერთიანად აუბედურებს ადამიანს.

ეს ამბავი კიდევ მაგდენი უბედურება არ იქნებოდა, ბოროტ-მომქმედნი რომ ეპოვნათ და დაესაჯნათ. აგერ რამდენჯერ წაუკიდებიათ ცეცხლი, მაგრამ აქამდე ბოროტის ხელის კვალს ვერ მიაგნეს და ვერა. ამ ხუთის თუ ექვსის წლის წინად ჩოხატაურში სასამართლოსაც-კი წაუკიდეს ცეცხლი და სულ ერთიანად დასწვეს საქმეები, მაგრამ ამ ბოროტების ჩამდენნი დღესაც თავისუფლად დანავარდობენ ხალხში და ბუზიც არ აჰფრენიათ. ნუ თუ არასოდეს არ მოეღება ამ ბოროტებას ბოლო?!.

ჩვენს სოფელში ხევის-თაობაა დაწესებული და ხევის-თავადაც ხსენებული დაზარალებული აზნაური კ. ხუნდაძეა ამორჩეული. თუ დაიკარგა რამე და ქურდი არსად აღმოჩნდა, სოფელმა უნდა უზღოს დაზარალებულს ზარალი. სასურველია, რომ ცეცხლის წამკიდებლის მოპასუხეც სოფელი იყოს, მაშინ უეჭველია ბოროტ-მოქმედება უფრო ადვილად გამოაშკარავდებოდა. თორემ ეხლა, მოგახსენებენ, სოფელმა იცის, ვინც არიან ცეცხლის-წამკიდებელნი, მაგრამ ეშინიანთ, მეც არ დამმართოს რამე უბედურებაო და არ ასახელებენ. იმედია მაზრის უფროსი და ადგილობრივი მოხელენი ეხლა მაინც ხელ-მაგრად მოეკიდებიან ამ საქმეს და ეცდებიან უეჭველად აღმოაჩინონ ბოროტ-გამზრახველნი, თორემ თუ ამ შემთხვევამაც უბრალოდ ჩაიარა, მაშინ მთელი სოფელი დღე და ღამ მოუსვენრად იქმნება იმ შიშით, რომ ახლა მე წამიკიდებენ ცეცხლსაო და სულ ერთიანად გამაუბედურებენო.

გ—ძე

*) თუმცა ეს ამბავი მოთხრობილი იყო ტფილისის რუსულ გაზეთებში, მაგრამ მაინც ვბეჭდავთ, რადგან თვით საგანი ამ გვარის მტრობისა მართლა საყურადღებოა და სასურველია ბოლო მოეღოს რითიმე.

**სიღნაღი.** 18 გიორგობისთვე. ჩვენს კურთხეულს სიღნაღში საგრძნობელი სიძვირეა. ფარსაგი ფქვილი 1 მ. 20 კ. ქვევით არ ჩამოსულა. განა მარტო ფქვილია ძვირი? გირვანქა ერბო 40—45 კ. ყველი 25 კაპ. ღვინო-კი ღვთის წინაშე ძლიერ იაფია. კვერცხი 3 ცალი 5 კ., ქათამი, ისიც უვარგისი 40—60 კ., ინდოური 80კ.—1 მ. 20 კ. ნიორი 7—10 თავი 5 კ. სამაგიეროდ ძლიერ იაფია ბოლოკი და ზღმარტლი. ზღმარტლი ერთი დიდი ჯამი 1 კაპეიკია და ბოლოკი 8—10 კონა 5 კ.. ამ სიძვირეს დაემატა საშინელი სიძვირე შეშისა და ფიჩხისა. შეშა-ფიჩხის სიძვირემ ძლიერ შეაწუხა შეუძლებელი ხალხი ჯერ ეხლავე, როდესაც თოვლი არ არი, და კარგადაც თბილა. ზამთარში უეჭველია უფრო გააძვირებენ შეშა-ფიჩხს. ერთი ვირის საპალნე, რომელსაც ოციოდე ღერი შეშა უდევს, 45—55 კაპ. ფიჩხიც თითქმის ამ ფასადვე იყიდება. სამი ვირის საპალნე ერთ თონეს ძლივს გაახურებს. საკვირველია, ღმერთმანი! სიღნაღს გარშემო, ძლიერ ახლო, მშვენიერი ტყეებია ჩვენი მემამულეებისა, ასე 10—15 20 ვერსამდე, და აქ-კი ისეთი სიძვირეა შეშა-ფიჩხისა; საჟენი შეშა (დაჭრილი) სამ თუმნად იყიდება. თავად-აზნაურობათა ტყეებში-კი უბრალოდ და უპატრონოდ ლპება აუარებელი ძირ-ნაყარი შეშა-ფიჩხი! ნუ თუ არ შეუძლიანთ რამდენიმე მემამულეებს ერთად შეერთდნენ და გაჰმართონ შეშა-ფიჩხის საწყობი სიღნაღში, თვითონაც ისარგებლონ და ხალხიც გაჭირებიდგან დაიხსნან?

ერთ საჟენს სამი ურემი დაუჭრელი შეშა ავსებს და, თუ კარგი დაღებულია ურმები, კიდეც დარჩება. ეს სამი ურემი რომ 15 მან. გაჰყიდონ, თუ გინდ ქირითაც მოატანინონ, მაინც მოგება დარჩებათ. და ან კი რა ქირა უნდათ, როდესაც საქონელიც ბლომად ჰყავთ, ბიჭებიცა და ტყეები ხომ მშვენიერი და აურებელი აქვთ. ზოგიერთს მემამულეს რამდენინე ასი და ათასი საჟენი შეშა-ფიჩხი უფუჭდება ამაოდ ტყეში. სიღნაღის მცხოვრებლებსა და დაწესებულებათ მოუნდებათ წელიწადში 400 საჟენზე მეტი შეშა და ამაზე კიდევ მეტი ფიჩხი. შეშა რომ ვიანგარიშოთ დაჭრილი საჟენი 29 მანათად, რვა ათასი მანათი გამოვა, ფიჩხიც სულ იაფად რომ ჩავაგდოთ, საჟენი 5 მანეთად, 200 მან. სულ 10,000 მანათი. ამ ათას თუმანში, თუ გინდათ, ნახევარი ხარჯად იანგარიშეთ: ბიჭებზე, გამოტანაზე, ადგილის ქირა, 5000 მან. მინც ძირსა რჩება. ამ საქმეს ხომ მთელი წლობით არ უნდა მუშაობა. შეიძლება მხოლოდ რამდენსამე თვეს იმუშაო, ასე რომ არც ხვნა-თესვას მოაცდინოს საქონელი და არც მკალეწვას.

ჩვენსკენ კარგა ხანია არ გაავდრებულა. მამულები მრავლად დაიხვან, მაგრამ ძრიელ გვიან დაფარცხეს, რადგანაც გვალვამ შეაშინა მხვნელმთესველნი. ამის გამო ჯეჯილები ჯერ არ არის ამოსული. ბევრგან ღვინო საკმაოდ მოვიდა, მაგრამ მოსავალით მამულის პატრონი-კი არა ჰხარობს, არამედ ისევ მოსული ხალხი და სირაჯები, რომელნიც მკიან იქ, სადაც არ დაუთესიათ. წარმოიდგინეთ ერთი საპანე მშვენიერი (ნამეტნავად წელს ძლიერ კარგი ღვინოებია) ღვინოში იძლევიან 30—50 მან. და ამასაც ინადით და მუნათით. რა უნდა ჰქნას მწარმოებელმა, როდესაც გამკეთებელს უფრო მეტი უნდება. მეტი რა ღონეა, გაჭირება აქვს და ჰყიდის ამ ფასად. საპანეობით იძლევიან ამდენ ფასს, თორემ წვრილ-წვრილად ხომ არაფერს არ იმეტებენ: პური და ქერიც თითქმის საკმაოდ მოვიდა, მაგრამ მომეტებულ ნაწილს ახალ-წლამდე ძლივს შეჰყვება სარჩო, ახალწის შემდეგ-კი ისევ სავალებელი მოუხვდება. ამის მიზეზი შარშანდელი მოუსავლობაა. მაინც მადლობა ღმერთს, კიდევ არის შოვნა პურისა, და ხალხი ერთმანერთში ილალად მიდის. ეხლა აქეთ იშოვება კოდი პური 2 მ., 2. 50 კ. და 3 მან. სამ მანათად თავთუხის პურს იყიდით. წელს თითქმის ყანებს ყველგან უხარჯო და მაძღარი მარცვალი ჰქონდა. სადაც-კი არ მოსცდა, კარგი გამოსავალიც ჰქონდა.

წელს ერთობ დაწყნარებით და მხიარულად გაიარა სამხედრო ბეგარაში გაწვევამ სიღნაღში. კვლავინდებურად წუწუნი და ტირილი აღარ იყო ღედაკაცებისა. ვისაც-კი ბედმა კენჭი არგუნა, მხიარულად მიეგება თავის ბედს.

ქართველი

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც ბ-ნ იასონ გეგელაშვილის თაოსნობით აღმომიჩინეს დახმარება და გამომიგზავნეს 30 ოქტომბერს 25 მან. დ. ოჩამჩირედგან. აი სია მათი: კონსტანტინე წერეთელი 3 მან., თეიმურაზ ჩაჩავა 3 მან., სპირიდონ ნარაკიძე 3 მან., იასონ გეგელაშვილი 3 მან., ი. კ. ხრიდიჩი 3 მ., ქაიხოსრო მასხარაძე 2 მან., სავვა კოსლიადი 2 მან., არკადი კარპოზილოს 1 მან., ქ. ქეთევან კერესელიძისა 1 მან., ა. დუბრავა 1 მან., ქ. ს. კერესელიძე 1 მან., მარია ჩაჩავასამ 1 მან., დ. ხმალაძე 1 მან..

ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზ. მათემ. ფაკულტეტის სტუდენტი გედეონ წერეთელი.

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრო ამზადებს წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა პროექტს. ამხანაგობის დამაარსებელ წევრთა რიცხვი ოცზედ მეტი არ უნდა იყოს. საზოგადოებათა წევრებათ შეიძლება იყვნენ ერობანი და სოფლის საზოგადოებანი. ამხანაგობის სათადარიგო თანხას უნდა შეადგენდეს სარგებლიანი ქაღალდები. ამხანაგობა სესხს გასცემს და დაიგირავებს სამეურნეო და საშინაო მრეწველობის ნაწარმოებს. ამხანაგობას უფლება აქვს გაჰმართოს საწყობები დაგირავებულ საქონლისთვის. ფულს სესხად აძლევენ მარტო ამხანაგობათა წევრთ იმ პირობით-კი, რომ ეს ფული მეურნეობას მოჰხმარდეს. სესხად გაცემულ ფულში 100 მანათზედ წელიწადში 12% გამოერთმევათ. სესხი მიეცემა კერძო კაცს არა უმეტეს 300 მანათისა და საზოგადოებათ-კი არა უმეტეს 500 მანათისა.

## ჟულ სიმონი და პასტერი.

Figaro ამბობს, ნეტავ რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ საუკუნეს, რომელიც აგერ 6 წლის შემდეგ უნდა დასრულდესო. ვითომ საუკუნე ნაპოლეონისა, კონტისა, რენანისა, ჰუგოსი თუ ლეონ XIII-სა? გაზეთს მიუმართავს ზოგიერთ ცნობილ მოღვაწეთათვის და უთხოვნია, თქვენი აზრი გვაცნობეთ ამ საგნის შესახებაო. გაზეთს ერ-ჯერობით შემდეგი პასუხი მისვლია ჟიულ სიმონისა და პასტერისაგან.

„არა, მე ვერ მოვუძებნი სახელს ამ მიმავალს საუკუნეს. მეთვრამეტე საუკუნეს არა ჰგავს, რომ ვთქვათ, საუკუნეა ენციკლოპედიისა, ესე იგი რევოლიუციისაო. არც თუ ხმა დაბანია რევოლიუციის ჭექა-ქუხილისა და არც დასასრულია მისის ქარ-ტეხილისა. ეს არის საუკუნე, როცა კაცი წელებზე ფეხს იდგავს, ადამიანს სულთ-ებრძვის და მანქვა-გრეხა მოსდის. მისი სახელი და დიდება იმაზეა დამოკიდებული, რაც ჯერ არ შესრულებულა და არ განხორციელებულა. მე მგონია, რომ მისი დიდება არც პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, თუმცა რესპუბლიკა დაგვიარსდა, არც ლიტერატურაში, თუმცა ვიქტორ ჰუგო გვყვანდა, არც ხელოვნებაში, თუმცა ენგრათი და დელაკრუათი თავს ვიწონებთ. იგი დიდებულია და მეტად დიდებული მეცნიერების წყალობით. ამ საუკუნეს ამშვენებენ: ლაპლასი, ლაგრანჟი, არაგო, ბერტოლე და ლევერიე. ამ საუკუნემ ფერი უცვალა ხილულს ქვეყანას და ეს ხომ დიდი გონებრივი და ზნეობრივი რევოლიუციაა.

ჟიულ-სიმონი“

3 ნოემბ. 1893 წ.

—

„მეცხრამეტე საუკუნე ერთის სიტყვით ვერ დახასიათდება. ვინც ამას მოინდომებს, შესცდება, იმიტომ რომ ვეღარ აღნიშნავს მრავალთა ცდასა და წვა-დაგვასა, მრავალთა თავ-გამოდებულს სურვილს ბრძოლისას, მრავალთა ჭოჭმანსა და გულის წუხილსა. კვლევა ჭეშმარიტებისა კაცობრიობის საბედნიეროდ—აი რა დაახასიათებს ნიშანდობლივ ჩვენს საუკუნეს.

პასტერი.

11 ნოემბერი 1893 წ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 13 ნოემბერს დიუპუი უმტკიცებდა პარლამენტს, რომ ქვეყანას ამ ჟამად არც კონსტიტუციის გადასინჯვა სურს და არც სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევება და არც შემოსავლის კვალად გარდასახადის შემოღება (შუა დასი ტაშსა სცემს). კაბინეტი ერთგული მიმდევარია დიდის რევოლიუციის აზრისა, ხოლო უარ-ჰყოფს სოციალისტების თეორიას, რომელთაც უნდათ სახელმწიფომ მიითვისოს კერძო კაცთა უფლება და ძარცვით მოსპონ კერძო საკუთრება (ტაშის ცემა). კაბინეტი იქნება მცველად კარძო კაცთა თავისუფლებისა, შრომისა და საკუთრებისა და ეცდება კეთილ-გონიერის ღონისძიებით გააუმჯობესოს მშრომელთა მდგომარეობა.

დიუპუიმ მოკლედ გაიხსენა პროექტები, სამინისტროს დეკლარაციაში ჩამოთვლილი და მოითხოვა პალატამ პირდაპირ გამოაცხადოს, ენდობა კაბინეტს თუ არა (ტაშის ცემა).

შემდეგ ლეგმა ილაპარაკა და იცავდა სოციალისტების თეორიას.

კარდინალ ჟურდანის სიტყვის შემდეგ, რომელმაც სთქვა, რომ კაბინეტის პროგრამმა სრული არ არისო, პელტანი ავიდა ტრიბუნაზედ და იკითხა, აქ მთელი კაბინეტი არის, თუ მხოლოდ რამდენიმე წევრიო. დიუპუიმ უპასუხა: მთელი კაბინეტია თქვენს წინაშე. შეგიძლიანთ ილაპარაკოთ (ტაშის ცემაა. უმწვერვალეს მომარცხენეთა შორის დიდი ხმაურობაა). ზოგი დეპუტატი ამბობს, პეიტრალი გამოვიდა სამსახურიდგანაო. პელტანმა სთქვა, რადგანაც ჩემს წინაშე მკვიდრს კაბინეტს ვერა ვხედავ, ტრიბუნას თავს ვანებებო (მომარცხენენი ტაშსა სცემენ).

ბრისსონი ამბობს, კაბინეტი ისე არ იქცევა, როგორც საკონსტიტუციო მართებლობას შეჰშვენის და არ შეიძლება ბჭობა განვაგრძოთ (ტაშის ცემა), ვიდრე კაბინეტი არ გამოიცვლებაო.

კრება შესწყდა. ამბობენ, პეიტრალმა, ვიეტმა და ტერიემ, რომელიც რადიკალთა დასს ეკუთვნის, დილასვე შეიტანეს ქაღალდი, აღარ შეგვიძლიან სამსახურიო.

—

**ინგლისი.** 9 ნოემბერს პარლამენტი რომ შეუდგა კანონ-პროექტის განხილვას იმის შესახებ, რომ ქალებსაც მიენიჭოთ უფლება არჩევანებში მონაწილეობა მიიღონო, მაკ-ლარენმა სთქვა, პროექტი იმ გვარად უნდა შესწორდეს, რომ ეს უფლება მიენიჭოთ არა თუ უქმრო ქალებს, არამედ ქმრიანებსაცა, რომელნიც-კი სახელმწიფო ხარჯს იხდიანო. პარლამენტი მოვალეა გამოესარჩლოს ქალებს და მიანიჭოს უფლება, რომელიც აქამომდე ჩამორთმეული ჰქონდათ მთავრობის სასამართლოს მიერ.

მაკ-ლარენს მართებლობის სახელით ფაულერმა უპასუხა, რომ მართებლობამ უკვე გარდასწყვიტა მიანიჭოს საარჩევნო უფლება ქმრიან ქალთაც და ამის შესახებ პროექტში ცალკე მუხლს ჩაურთავსო.

—

**იტალია.** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დარბაისლურ ჟურნალ „Rassegna Nazionale“-ში დაბეჭდილმა წერილმა იტალიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ჟურნალი იმ აზრისაა, რომ იტალიის შინაური მდგომარეობა დამოკიდებულია გარეშე პოლიტიკაზედ და სამთა კავშირი იტალიასა ჰღუპავსო. გერმანიასთან დაკავშირებას ის აზრი ჰქონდა, რომ მზად იყოს დასახვედრად, თუ მტერი დაეცემაო, ხოლო ეს მტერი არსადა სჩანს, არავინ დაცემას არ ემუქრებოდა და საფრანგეთს-კი ტყუილად აწყევინა და ეს წყენა ძვირად დაუჯდა იტალიას. ის მინისტრები, რომლებიც ამ ბოლოს დროს ჰყავდა იტალიას, თითქო ძალად სცდილობდნენ გაებრაზებინათ საფრანგეთი და უდიდესი ბოროტება ხომ ეხლანდელმა პოლიტიკოსებმა ჩაიდინეს ნეაპოლიტანელ პრინცის გაგზავნით მეცში. ეს მოგზაურობა იტალიას ერთ მილიარდად დაუჯდაო.

—

იტალიის მინისტრებმა მოისურვეს „დაბრუნება დეპუტატთა ადგილებზედ, რათა სიტყვის თავისუფლება მივიღოთო“, ე. ი. სამსახურიდგან გადადგნენ, მაგრამ დროებით-კი შერჩათ თავიანთი პორტფელები. ვის ჩაბარდება ჯიოლიტის სამინისტრო, ჯერ-ჯერობით ძნელია სთქვას კაცმა. კონსტიტუციის ძალით, კაბინეტის შედგენა უნდა დაევალოს იმას, ვინც თავი და თავი მიზეზი იყო უ ინდელ კაბინეტის დამხობისა. მიზეზი უწინდელ კაბინეტის დამხობისა რადიკალთა დასი იყო, მაგრამ ეს დასი მეტად სუსტია. ასეთ დროს კაბინეტის მეთაურს თვით მეფე ირჩევს ხოლმე. ყველაზედ მეტი უფლება კაბინეტის შედგენისა კრისპის ეკუთვნის. მაგრამ, ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს მეფეს კრისპი ძლიერ არ უყვარსო და მისი წინააღმდეგი იქმნებაო.

—

**ავსტრია.** ორი დღე არ გავიდა მას შემდეგ, რაც კაბინეტმა თავისი დეკლარაცია წაიკითხა და კაბინეტი უკვე იშლება. კონსერვატორთა კლუბს გადაუდგა სლავიანთა 10 დეპუტატი, რადგანაც მეტად უკმაყოფილონი იყვნენ, რომ კონსერვატორებმა პირობა შეჰკრეს სლავიანთა დაუძინებელ მტერთან. გოგენვარტის კლუბმა მართალია მთავრობას ზოგიერთი პირობები წარუდგინა, მაგრამ საეჭვო-კია, რომ მთავრობამ ეს პირობანი შეასრულოს, რადგანაც მაშინვე მოაკლდება დახმარება გერმანელ ლიბერალთა.

—

**ბრაზილია.** მთელი სამი თვეა, რაც გენერალი ბელლო აუჯანყდა მთავრობას, ალყა შემოარტყა რიო-ჟანეიროს და ყუმბარებს ესვრის ამ შვენიერ ქალაქს.

აქამდისინ ეგონათ, რომ გენერალ ბელლოს პრეზიდენტობა ჰსურს რესპუბლიკისა, ეხლა-კი ამბობენ, ბელლოს განზრახვა აქვს ბრაზილიაში მონარქია დააარსოს და ტახტზედ თითონ ავიდესო.

გენერალ ბელლოს ძლიერ ბევრი მომხრე ჰყავს და ამიტომ მთავრობას იმის წინამღმდეგ ვერაფერი გაუწყვია. ბრაზილიაში მთელი ოთხი წელიწადია, რაც უწესოება ჩამოვარდა და სწორედ ეს არის მიზეზი მონარქისტთა დასის გაძლიერებისა, რადგანაც ჯერ არ დაჰვიწყებიათ ის მშვიდობიანობა, რომელიც ჰსუფევდა ბრაზილიაში იმპერატორის დონ-პედროს მეფობის დროს.

რითი გათავდება ეს ბრძოლა ბრაზილიის რესპუბლიკის მთავრობასა და გენერალ ბელლოს შორის, ჯერ არავინ იცის. ამ ამბავს ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფონი მეტად ადევნებენ თვალ-ყურს.

—

**სპარსეთი.** მიწის ძვრის შესახებ ქუჩანში აი რასა სწერენ გაზეთ „ნოვოდარს“: 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, გრიალი მოისმა და მიწა შეტოკდა. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ მოისმა საშინელი გრიალი. მთელი ქალაქი 14,000 სახლითა და 100,000 მცხოვრები მიდი-მოდიოდა, დაცურავდა, როგორც პატარა ნავი. დილის 8 საათამდე მიწა თითქმის არ შეჩერებულა. მეორე დღესაც დამსკდარ ადგილებიდგან ბოლი და ცეცხლი მოჩანდა. მრავალი სახლი დაიქცა, მცხოვრებნი თავზარ დაცემულნი გარბოდნენ ქალაქ გარედ, მაგრამ მაინც 12,000 კაცი დაიღუპა და 40—50,000 პირუტყვი საქონელი. სომეხნი—ვაჭარნი ერთს ქარვასლაში თავ-მოყრილნი თავიანთ სავაჭრო საქონელს თავს ვერ ანებებდნენ, ვიდრე ქარვასლა არ დაიქცა და მთლად საქონელი თან არ დაიტანა. ბევრი საქონელი ბაქოელსას და ტფილელ ვაჭრებს ეკუთვნით.

---

## ხაუნჯე ქართულის ენისა

გიორგი ივერიელმა გორიდგან ჩამოიტანა ერთი მოზრდილი ხელთ-ნაწერი, რომელსაც მისი გადამწერი სტეფანე თ—ძე ლომუევი უწოდებს „ლექსიკონს ქართულის ენისას“.

ეს ხელთნაწერი მართლაც რომ საყურადღებო ძეგლია. იგი, ჩემის აზრით, ნათელს ჰფენს ქართულ ლექსიკონის ისტორიას.

გამოჩენილი სულხან საბა ორბელიანი სწერს:

„მე სულხან საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომაჲ დამიძს ამ წიგნსა ზედა, რამეთუ ქართველთა ენისა ლექსიკონი არლასა იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კონა უწოდა, ვინაჲდგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი კელყოფა“...

გიორგი მეფე ბ ვახტანგიც მე-11 საუკ. დასაწყისის მოღვაწენია. მაშასადამე ამ დროზედაც უწინარეს, საბას თქმით, ქართველებს ჰქონიათ თვისი ენის ლექსიკონი.

ამ გარემოებას ნათელს ჰფენს ლომუევის ლექსიკონის სიტყვები:

„ეს ლექსიკონი გულსა ვკონი
რაც მოვიწონე, სრულ გამოვკონი“.

ლომუევს ლექსიკონის წერა დაუსრულებია აგვისტოს 22-სა 1839 წელსა. მიუხედავად ამ თარიღისა ეს ლექსიკონი ორბელიანის ლექსიკონის პირი არ არის. ეს მტკიცდება მით, რომ ორივე ლექსიკონში სიტყვების ახსნა უმეტესად სხვა-და-სხვა გვარად სწარმოებს და ამას გარდა ლომუევისაში ხშირად ქართული სიტყვების გვერდზე მოყვანილია მათივე მნიშვნელობის გამომხატავი სიტყვები ბერძულად, სომხურად, ლათინურად და აქა-იქ თათრულადაც; მაგალითებრ:

მამა, პატრი (ბერძნულად), ათა (თათრ.), ბაბ ჰორ (სომხურად).

მეხი, ტუონონ, ილდირიმ (თათრ.), კაწაკ (სომხ.).

მზე, სოლე (ლათინ.), გუნაში (თათრულად), არეგაგ (სომხურ.).

მთვარე, ლუნ, ლუსნიაკ (სომხ.).

აი განსხვავებაც. მაგ. სიტყვა „სამოთხე“ საბას ლექსიკონში განმარტებულია ასრე:

სამოთხე, წალკოტი შვენიერი, გინა ფუფუნება გინა ყვავილთა მტილი, რომელ დაასხა უფალმან აღმოსავალსა მხარესა, ქუჰყანასა ზედა. 2. 8. დაბად. იგივე ლომუევის ლექსიკონით:

სამოთხე, 2. 8. დაბადება, წალკოტი შუჰნიერი, სამოთხე არს ქვეყანასა ზედა აღმოსავლეთსა საშუენებელი ყვავილთა მტილი. სამოთხე ეწოდების მსოფლიოთა წალკოტთა შუენიერთა.

ლომუევის ლექსიკონში სულ ორასიოდე სიტყვაა. თვითონ ლომუევი სოფელ დირბის დიაკვანი ყოფილა, და როგორც სჩანს მისი შრომიდამ, მას სურვებია მოკლე სახელმძღვანელოს შედგენა თავისთვის. ამიტომ, ლექსიკონს გარდა, მისი ხელ ნაწერში ბევრი სხვა მრავალიც მოიპოვება, მაგ. „ხელთა“, „გალობა ქართული ბერძულად“, დღეების სახები ქართულად, რუსულად და ბერძნულად, სახელები ბვარუას ქვათა, სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი დიდთა წიგნთაგან, სწავლანი გამოკრებულნი სახარებისაგან, ლოცვები და სხ.

მაგალითი წერილიდამ „გალობა ქართული ბერძნულად»:

უფალო შეგვიწყალენ—კირიელეისონ.

მოგვმადლე უფალო—პრასკუ კირიე.

შენ უფალო—სიკირიე.

წმიდაო ღმერთო—აღიოს ოთეორ, აღიოს ისხიროს, აღიოს ათანატოს, ელეისონ იმას

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა—დოქსა პატრი, კე იონ, კე აიღიონ პნევმატი

აგრეთვე თარგმნილია: მოვედით თაყვანი ვსცეთ; აღდგომილო მკვდრეთით; რომელი ქერაბინთა; წყალობა მშვიდობა; ღირს არს-და-მართალ; შენ გიგალობთ; ღისრ არს ჭეშმარიტად; ერთარს წმიდა; აქებდით უფალსა; რომელმან შექმნა ანგელოსნი მისნი; კურთხეულ არს მომავალი; ნათელი ჭეშმარიტი ვიხილეთ; აღავსე პირი ჩემი ქებითა.

თავდება თარგმანით: იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერიდგან და უკუნისამდე—იტ ონომა კირიუ ევლოღიმენონ აპოტუნინ კე ეოსტუ ეონოს.

ყოველ შემთხვევაში ლომუევის შრომა ლექსიკონი მნიშვნელობას მოკლებული არ არის, როგორც ამას სამართლიანად ღაღადებს თვით ხელნაწერის წარწერაც:

სიბრძნის წყარო ხარ მდინარე
უფასოთ ასვამ ყოველთა
მცირე რამ ცვვარი გვაპკურე
ჩვენ სიტკბოებით მთხოველთა.

მ. ჯანაშვილი

---

## სწავლა-განათლება შეერთებულ შტატებში

ჩიკაგოს გამოფენის გამო დაბეჭდილ წიგნებში მრავალი საყურადღებო ცნობებია ხალხის სწავლა-განათლების შესახებ შეერთებულ შტატებში.

1880 წელს 12,424,254 მოსწავლე ვაჟი და ქალი ყოფილა. 1890 წელს-კი—14,219,571, რაც შეადგენს 20% მეტს იქაურ მცხოვრებთა. აქედგან მარტო სახალხო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი არის 13,762,799. $7\frac{1}{2}$% ს. ხალხო სკოლებისა კერძო კაცთა და საზოგადოებათა ხარჯით ინახება; დანარჩენი-კი მთავრობისა. ბევრს სკოლაში შეგირდებს უფასოდ ეძლევათ სამოსწავლო ნივთები.

ნახევარზედ მეტი საშუალო და სახელოსნო სკოლებისა კერძო კაცთა და საზოგადოებათ ეკუთვნის. უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებელნი-კი მომეტებულ ნაწილად მართებლობისაა. თითქმის ყოველს მათგანს საკუთარი თანხა აქვს და სარგებელი ჰყოფნის ხარჯად, ან არა და მთავრობა ეხმარება.

1890 წელს 70,000 ქალი და ვაჟი ყოფილა სტუდენტად. სწავლის ფასი უნივერსიტეტებში, საშუალო რიცხვი რომ ავიღოთ, 50 მანათამდეა წელიწადში. 56 უნივერსიტეტი და 18 სხვა მაღალი სასწავლებელი სრულიად არაფერს ახდევინებს სტუდენტებს.

1880 წელს სწავლა-განათლებაზედ იხარჯებოდა 156,000,000 მან.;

1890 წელს-კი 280,000,000 მან. თითო სტუდენტზედ იხარჯება წელიწადში 600—1,200 მანათამდე.

---

## ბიბლიოგრაფია

—

Популярная библіотека знаній. Гигіена семьи и обиходной жизни. Т.I. доктора В.П. Жуковскаго.

ამ წიგნში გასაგების ენით არის განმარტებული ის ნაწილი ჰიგიენისა, რომელიც ოჯახობასა და საზოგადოდ ცხოვრებას შეეხება. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს, როგორ უნდა მოუაროთ კანსა, თავსა, პირსა; როგორ მარგებელია გიმნასტიკა, მასსაჟი, სეირნობა სუფთა ჰაერზედ; ჰიგიენას ნერვებისას, გრძნობისას ძილისას და სხვა. საყურადღებოა ცნობანი საჭმლის მომზადების შესახებ; გვიხსნის აგრედვე, რა მოქმედება აქვს ადამიანზედ ხორცსა, თევზსა, ფქვილეულსა და მცენარეულობასა.

ეს წიგნი ყველასათვის გამოსადეგია, ვისაც საკუთარი და თავის მახლობელთა ჯანმრთელობა უღირს რათმე.

—

Н. Карѣевъ. Философія культурной и спеціальной исторіи новаго времени.

პროფესორის კარეევის ახალ წიგნში მოთავსებულია დასავლეთ ევროპის ისტორია ჯვაროსანთა ლაშქრობიდგან საფრანგეთის რევოლიუციამდე. ეს წიგნი შემოკლებაა იმავე ავტორის სამ წიგნიან ისტორიისა, რომელსაც ეწოდება Исторія Западной Европы въ новое время.

—

Исторія Эллинизма. Сочиненіе Дройзена. Переводъ Цимермана. Томъ третій. Исторія эпигоновъ Изд. К. Т. Солдатенкова.

ეს წიგნი საბერძნეთის ისტორიაა მესამე საუკუნისა. აქ მოთავსებულია არამც თუ მხოლოდ იმ სახელმწიფოების ისტორია, რომელნიც დაარსდნენ ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის დანაწილების გამო, არამედ ისტორია სამხრეთ იტალიის დაპყრობისა რომაელთა მიერ და აგრედვე პირველ პუნიკის ომისა.

---

## გასართობი

—

ინგლისის მეფე გეორგი ერთხელ ქუჩაში შეხვდა კუზიანს, მაგრამ გამოჩენილს ინგლისის მწერალს პოპპის. მეფემ უთხრა მხლებლებთ:

— ნეტა რისთვის სცხოვრობს ქვეყანაზედ ეს კუზიანი კაცი, რომელსაც სწორედ სიარულიც-კი არ შეუძლიანო. პოპპიმ ეს გაიგონა და მიაძახა მეფეს:

— იმისთვის, რომ შენ იარო სწორედაო.

—

ვოლტერმა სთქვა ერთხელ მწერალ მარივოს შესახებ: „ამ კაცმა ადამიანის გულის ყველა ვიწრო ბილიკი კარგად იცის და დიდი შარა გზა-კი არაო“.

—

მათემატიკოსი ბოსსიუ სიკვდილის პირას იყო, იწვა უგრძნობლად და ხმას ვერ იღებდა. მივიდა მეცნიერი მოპერტიუ და სთქვა:

— ამ წუთას ხმას ამოვაღებინებო და ჰკითხა მომაკვდავს:

— თორმეტ-ჯერ თორმეტი?

— ას ორმოც-და-ოთხიო, წამსვე უპასუხა ბოსსიუმ და სული დალია.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ინგლისურს ჟურნალ The Woman at Home-ში დაბეჭდილია ზოგიერთს

აზრი ადელინა პატტისა, გულახდილად წარმოთქმული. ეს გამოჩენილი არტისტი ქალი გაცს პატიოსნებით აფასებს და ქალს ერთგულებით. საუკეთესო საქმედ წიგნის კითხვა მიაჩნია და გასართობად—მეგობართან მუსაიფი. უყვარს კითხვა ტენისონისა და დიკენსის ნაწერებისა. ყვავილებში არც ერთს უპირატესობას არ აძლევს, ყველანაირი ყვავილი ერთ-გვარად მოსწონს. საუკეთესო ისტო-რიად—თვისი ისტორია მიაჩნია. ყვე-ლაზედ მეტად-კი ფული უნდა უყვარდეს. ეს იმითიც მტკიცდება, რომ ეხლა ამე-რიკაში მიიწვიეს 40 კონცერტზედ და ჯილდოდ პირობისამებრ უნდა აიღოს 40,000 გირვანქა სტერლინგი, ე. ი. თვითო კონცერტისა 10,000 მანათი.

—

ინგლისის ზოგს ქალაქში პრობკით არის ქუჩები მოფენილი და ეხლა პარი-ჟელებიც აპირობენ სცადონ, რამდენად უკეთესია პრობკა ქვასა და ასფალტზედ. პრობკას ჯერ ფშხვნიან და ფისსა ანუ სხვა ამ გვარ ნივთიერებას ურევენ, შემ-დეგ დახერხენ აგურის ტოლა ნაჭრებად, დააწყობენ რიგ-რიგად ქუჩაში და ცემენ-ტით შეუკავშირებენ ერთმანერთს. ამ ნაი-რად მოფენა ქუჩისა იმითია კარგი, რომ ქუჩა არ ამტვრიანდება და არ ატალახ-დება, ეტლების მისვლა-მოსვლის ხმაუ-რობა სრულიად არ ისმის. ამას გარდა თუ შემთხვევით ცხენი ქუჩაში დაეცა, არ დაზიანდება. ეს არის მხოლოდ, რომ ამ ნაირად ქუჩის მოფენა მკვირადა ჯდება.

—

სამღვდელოების კრებამ ლონდონში გარდასწყვიტა წარუდგინოს მთავრობას მოხსენება იმის შესახებ, რომ მოარუ-ლით გარდაცვალებულთა გვამი დაიწვას ხოლმეო. ეპისკოპოსმა ლაურენსმა ამის-გამო თავისი აზრი წარმოსთქვა, რომ თუ მოარულის თესლი სახლში ანუ მი-წაში დაითესა, უეჭველია, თანდათან გავრცელდებაო. მაშასადამე, საჭიროა ვთესოთ მხოლოდ საღი თესლი ხანგრ-ძლივის სიცოცხლისა და ამისათვის სუფთად უნდა შევინახოთ ნიადაგიც და არ ვკირწყლით გარდაცვალებულთა გვამე-ბით. იტალიაში, სადაც თან-და-თან ბევრს გვამსა სწვამენ დამარხვის მაგი-ერ, და იმ ქალაქებში, სადაც გვამთ და-საწვავი ქურებია, მოარულით გადაცვა-ლებულის გუბოს ტანისამოსიანად სწვა-მენ. ამის გამო მცხოვრებნი უფრო სა-ღად არიან და მოარული ველარა ვრცე-ლდებაო.

—

პარიჟის მაღალ საზოგადოების ქა-ლები ახალ მათრობელას მიეჩვივნენ. ეს არის ნავთის გაზი იმ ნაირად შეზა-ვებული, რომ ნაზი და სასიამოვნო სუნი აქვს. ეს ნივთიერება თითქმის ისევე ათრობს, როგორც ეთერი, ხოლო უფრო დიდხანსაც ათრობს და უფრო მავნებე-ლიც არის.

## გამოსადეგი ცნობა

—

ყვავილებისაგან გაკეთებული ნელსაცხებელი. სრულიად ახალ ქი-ლაში უნდა ჩასდოთ ერთი გირვანქა გადამდნარი ღორის ქონი. დიდს ქვაბში წყალი აადუღეთ და, რომ გადმოსდგათ, შიგ ქილა ჩასდგით. ღორის ქონი გა-დნება და მაშინ ჩაჭყარეთ ერთი მუჭა ფურცელი იმ ყვავილისა, რომლის სუ-ნიც უფრო გიამებათ. ქვაბი ქილით უნდა თბილ ადგილას დასდგათ, რომ ქონი არ გაიყინოს. მეორე დღეს ქონა გა-სწურეთ, ისევ ჩაასხით ქილაში და ერთი მუჭა ფურცელი მიუმატეთ. ერთი კვირის განმავლობაში ესე უნდა მოიქცეთ. ამას შემდეგ ქონი გადასწურეთ და მშვენიერი ნელსაცხებელი გექნებათ.

ამ ნაირად გაკეთებული ნელსაცხებელი მავნებელი მაინც არ იქმნება და ნასყიდი-კი მომეტებულ ნაწილად საეჭვოა.

# დეპეშა

19 ნოემბერი

**ბერლინი.** რეიხსტაგმა განიხილა ჰამპემის მოხსენება იეზუიტების სა-წინააღმდეგო კანონის მოსპობის შე-სახებ და მეორედ წაკითხვის დროს ეს მოხსენება შეიწყნარა, 173 ხმის უმეტესობით 136 წინააღმდეგ. ან-ტისემიტმა ლეისმა წარადგინა მოხსე-ნება იმის შესახებ, რომ უცხოელ ებრაელთ აღეკრძალოთ გერმანიაში გადმოსახლებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 152³/₄ | 153¹/₂ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — , | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 245⁵/₈ |
| —მეორისა . . . | | — „ | 222¹/₂ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზ-ნაურობის ბანკის მომ-გებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 190³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 100 | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | 99 | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფი-ლისის ქალაქის საკრე-დიტო საზოგადოებისა | 97¹/₂ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო-ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-ხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საა-თზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სა-ხალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშა-ბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივ-ლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლო-დაც.

—


# განცხადებანი

## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელი-სა **რუსულს ენაზედ**, ისყიდება წე-რა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და ტფილისის სხვა მაღაზიებშიაც.

ფასი ორი მანეთი.

(6—6)

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრილოვის არაკები

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწა-ვლო მთავრობისაგან სკოლების ბიბ-ლიოთეკებისათვის და მიღებულია ხელსაწყობად ქართულის ენის შე-სასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—6)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—126)




ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
АДЕЛЬГЕЙМЪ
ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

# ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ
## „ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“
## БРОКГАУЗА и ЕФРОНА.

Для облегченія подписки на „СЛОВАРЬ“ въ виду поступающихъ многочисленныхъ заявленій объ обременительности единовременной уплаты за вышедшіе полутомы,

**КОНТОРОЮ НЫНѢ УСТАНОВЛЕНЫ НИЖЕСЛѢДУЮЩІЯ УСЛОВІЯ РАЗСРОЧКИ:**

1) Вышедшіе до сихъ поръ полутомы (числомъ 20) высылаются подписчикамъ ЕДИНОВРЕМЕННО, при чемъ уплачивается ЗАДАТОКЪ въ размѣрѣ отъ 10 руб.,

2) Остальная сумма (50 руб. и за пересылку 8 руб,. всего 58 руб.) погашается взносами въ размѣрѣ отъ 1¹/₂ РУБ. ВЪ МѢСЯЦЪ;

3) Слѣдующіе имѣющіе выходить полутомы высылаются на общихъ основаніяхъ—съ наложеннымъ платежемъ въ 3 руб. 40 коп. на каждый полутомъ по мѣрѣ выхода.

За подробными справками и съ подпиской на изложенныхъ основаніяхъ обращаться КЪ ПРЕДСТАВИТЕЛЮ „СЛОВАРЯ“ ДЛЯ КАВКАЗСКАГО КРАЯ

**Б. Г. КРАСНЯНСКОМУ**

Въ Тифлисѣ, Михайловская ул., д. № 153, а также въ центральную книжную торговлю и въ книжный магаз. Хиддекеля. Иногородные благоволятъ обращаться исключительно къ Б. Г. КРАСНЯНСКОМУ.

## „ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“

(начатый проф. И. Е. АНДРЕЕВСКИМЪ)

подъ редакціей К. К. АРСЕНЬЕВА и заслуженнаго проф. Ѳ. Ѳ. ПЕТРУШЕВСКАГО.

При участіи редакторовъ отдѣловъ:

Проф. А. Н. Бекетовъ (біологич. науки).
С. А. Венгеровъ (исторія литературы).
Проф. А. И. Воейковъ (географія).
Проф. Н. И. Карѣевъ (исторія).
Проф. Д. И. Менделѣевъ (химико-технич. и фабрично-завод.)
Проф. В. Т. Собичевскій (сельскохозяйственный и лѣсоводство).
Владиміръ Соловьевъ (филос.).
Проф. Н. Ѳ. Соловьевъ (музыка).

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“ выходитъ каждые 2 мѣсяца полутомами, въ 30 листовъ убористой печати. Въ настоящее время вышло двадцать полутомовъ.

Цѣна за каждый полутомъ безъ пересылки въ переплетѣ 3 руб., безъ переплета 2 руб. 70 коп. За пересылку 40 коп. на каждый полутомъ. Переплеты изъ шагреневой кожи съ золотымъ тисненіемъ на переплетѣ. Книги высылаются по почтѣ съ наложеннымъ платежемъ.

(5—1047—2) Издатели { А. Ф. БРОКГАУЗЪ (Лейпцигъ). И. А. ЕФРОНЪ (С.-Петербургъ).

# გამოსადეგ ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სი-ფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვე-ბისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბა-ვშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერ დისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილი-სი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Ноября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე